ღირსი სერგი რადოჟენელის წმინდა ნაწილების მოპოვების დღესასწაულის წინა საღამოს პატრიარქმა კირილემ წმინდა სერგის სამების ლავრაში ღამისთევის მსახურება აღასრულა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 7.07.22. 17-18 ივლისს წმინდა სერგის სამების ლავრა ზოგადსაეკლესიო დღესასწაულის ცენტრად იქცა, – დღესასწაულისა, რომელიც ეძღვნება რადონეჟელი იღუმენის, სავანის სამების ტაძრის დამაარსებლის, ღირსი სერგის წმინდა ნაწილების პოვნის 600 წლისთავს.

17 ივლისს, ღირსი სერგის პატიოსანი ნაწილების მოპოვების (1422) დღესასწაულის წინა საღამოს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ წმინდა სერგის სამების ლავრის საკათედრო ტაძრისწინა მოედანზე ღამისთევის მსახურება აღასრულა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარს თანამსახურებდნენ: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შუაზიის სამიტროპოლიტო ოლქის მეთაური, ტაშკენტისა და უზბეკეთის მიტროპოლიტი ბიკენტი; სანკტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი ბარსანოფი; პატრიარქის ადგილმონაცვლე მოსკოვის სამიტროპოლიტოში, კრუტიცისა და კოლომენის მიტროპოლიტი პავლე; სრულიად ბელარუსის საპატრიარქო ეგზარქოსი, მინსკისა და ზასლავსკის მიტროპოლიტი ბენიამენი; მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პირველი ვიკარიოსი ქ. მოსკოვში, ვოსკრესენის მიტროპოლიტი დიონისე; მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, დასავლეთ ევროპის საპატრიარქო ეგზარქოსი, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი; წმინდა სერგის სამების წინამძღვრის ადგილმონაცვლე, სერგი-პოსადისა და დმიტროვის ეპისკოპოსი თომა; მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი, ზვენიგოროდის ეპისკოპოსი თეოდორიტე; რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავართა კრებული.

მის უწმინდესობას ასევე თანამსახურებდნენ: ეკლესიის ისტორიის დოქტორი, წმინდა სერგის სამების ლავრის ბინადარი, არქიმანდრიტი მაკარი (ვერეტენიკოვი); მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მდივანი ქ. მოსკოვში, პროტოპრესვიტერი ვლადიმერ დივაკოვი; მოსკოვის საპატრიარქოს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს თავმჯდომარის მ.შ. მღვდელმონაზონი ერმოგენი (ბურიგინი); სავინო-სტოროჟევის სტავროპიგიალური მამათა მონასტრის წინამძღვრის ადგილმონაცვლე, არქიმანდრიტი პავლე (კრივონოგოვი); უწმინდესი პატრიარქის კირილეს პირადი მდივანი, არქიმანდრიტი ალექსი (ტურიკოვი); წმინდა სერგის სამების ლავრისა და სავანის მეტოქიონის მკვიდრნი სასულიერო პირნი; რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რიგი ეპარქიების სამღვდელოება.

საღვთისმსახურო გალობები შეასრულა მოსკოვის სასულიერო აკადემიის მგალობელთა გუნდმა მღვდელმონაზონ ნესტორის (ვოლკოვი) რეგენტობით.
ღვთისმსახურებას ესწრებოდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ცენტრალურ ფედერალურ ოლქში ი.ო. შჩეგოლევი.

ტელეარხებზე – „სოიუზი“, „სპასი“ და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ საიტზე, Патриархия.ru, საპატრიარქო ღვთისმსახურება პირდაპირი ტრანსლიაციით გადაიცემოდა. მრავალრიცხოვან მომლოცველთა რელიგიური ინტერესების დასაკმაყოფილებლად ტრანსლიაცია გამოტანილი იყო ლავრის საკათედრო ტაძრისწინა და კრასნოგორის მოედნებზე დამონტაჟებულ დიდ ეკრანებზე, – იუწყება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური.

18 ივლისს, ღირსი სერგი რადონეჟელის პატიოსანი წმინდა ნაწილების მოპოვების დღესასწაულის დღეს, ლიტურგიები დაიწყება 4.30-ზე სამების საკათედრო ტაძარში და 5.30.-ზე წმინდა სერგის ტრაპეზის ტაძარში.

9.00-ზე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე მღვდელთმთავართა და სამღვდელოთა კრებულის თანამსახურებით ლავრის საკათედრო ტაძრისწინა მოედანზე საღმრთო ლიტურგიას აღავლენს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89464/